ურთიერთშეთანხმების

ა ქ ტ ი

ქ. ვანი 25 სექტემბერი 2012 წელი

ერთის მხრივ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო („შემსყიდველი“) თავმჯდომარის დავით კაკაბაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გზამშენი XXI“ დირექტორის გოჩა ახალაძის სახით („შემსრულებელი“) ვადგენთ ურთიერთშეთნხმების აქტს შემდეგზე:

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შპს „გზამშენი XXI“ -თან 2012 წლის 01 აგვისტოს გაფორმებული №103 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება, ხელშეკრულების მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულ ვადაში (25 სექტემბრამდე), ვერ ხერხდება არსებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის გამო.

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2012 წლის 01 აგვისტოს გაფორმებული №103 ხელშკეურლებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადა გადაიწიოს ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე (20 ოქტომბრამდე). სხვა პირობები დარჩეს უცვლელი.

აღნიშნულ პირობებს ვეთანხმებით და ურთიერთშეთანხმების აქტზე ხელს ვაწერთ.

„შემსყიდველი“

დავით კაკაბაძე

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

„შემსრულებელი“

გოჩა ახალაძე

შპს „გზამშენი XXI“-ის დირექტორი

შ.პ.ს. „გზამშენი XXI“
მისამართი : ქ. ქუთაისი, ანჯაფარიძის ქ. №100ა
212709498
☎ (0-431) 23-37-21; +995 99 49 52 42

L.T.D. 'GZAMSHENI XXI“
Adress: №100[a] Anjafaridze st, kutaisi, Georgia
☎ (0-431) 23-37-21; +995 99 49 52 42

№ 85

„24“ სექტემბერი 2012 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით კაკაბაძეს

ბატონო დავით,

შ.პ.ს. „გზამშენი XXI” მოგახსენებთ, რომ ვაწარმოებთ ურთიერთშორის გაფორმებულ 01.08.2012 წ. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №103 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს. რადგან საჭირო გახდა არსებულ პროექტში ცვლილებების შეტანა, გთხოვთ გაგვიგრძელოთ სამუშაოების შესრულების ვადა 2012 წლის 20 ოქტომბრამდე.

შ.პ.ს. „გზამშენი XXI”-ს
დირექტორი : გ. ახალაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.ვანი, თავისუფლების №65
ინდექსი 1900

E-mail: vani@inboxs.ge
ტელ: 22-18-18

№1-2/403

25.09. 2012 წელი

შპს „გზამშენი XXI"-ს დირექტორს
გოჩა ახალაძეს

თქვენი მ/წლის 24 სექტემბრის №85 წერილის და ჩვენს მიერ 01.08. 2012წ. გაფორმებული №103 ხელშეკრულების მე-9 პუნქტის საფუძველზე გაცნობებთ, რომ თანახმა ვართ შეტანილ იქნას ცვლილება ხელშეკრულების მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტში და სამუშაოს დასრულების ვადა 25 სექტემბრიდან გადაიწიოს ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე (20 ოქტომბერი). რაზედაც გაფორმდება ხელშეკრულების ცვლილების დანართი, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

პატივისცემით,

დავით კაკაბაძე

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე